David Akhlouri
PhD in History, Professsor
Gori State University

OSSIANOBA AND THE PRONE VALLEY

(Abstract)

KEYWORDS: Prone Valley, Georgia, Caucasus, Ossetians, Samachablo, Raids, Russia

The history of relations between Georgians and Ossetians stretches back centuries, even millennia. According to the 11th-century Georgian historian Leonti Mroveli, King Parnavaz of Kartli received considerable assistance in state-building from the ruler of Egrisi, Quji, and from the king of the Ossetians. Throughout the centuries, frequent cooperation, mutual aid, kinship ties and reconciliation occurred between these two Caucasian peoples. As Mose Janashvili (1855-1934), a Georgian historian, ethnographer, and linguist, observes, Ossetian "friendship" was consistently advantageous to the Georgians: with their support, the Georgian army not only repelled enemies but often pursued them as far as Media and Parthia.

The Ossetians, too, benefited significantly from their relations with Georgia. These ties enabled Ossetian raids for booty in the southern regions, involvement in Caucasian politics, and profit in the form of military tribute. "Georgia, an economically and culturally advanced country, attracted Ossetians and other neighbours like a magnet... Wealthy states exploited the greed of warring peoples for their own political ends, extracting ample tribute, gifts and booty. All this made Ossetia an active counterparty in relations with Georgia."

It is worth noting the cultural influence of politically, economically, and socially developed Georgia on the Ossetians and, more broadly, on the ethnic groups of the North Caucasus, including

the spread of Christianity among the locals, “evident in the Georgian churches erected at the turn of the tenth and eleventh centuries and thereafter.”

Georgia’s history also records periods of confrontation and intolerance with its northern neighbours. Historian Zachary Chichinadze (1854-1931) noted in the early 20th century that whenever Georgian–Ossetian relations weakened, this was often the result of enemy agitation intended to isolate and subdue neighbouring states one by one.

Georgian and Ossetian authorities valued mutual cooperation and its benefits; therefore, they sought to consolidate neighbourly ties through dynastic marriages and kinship. This goodwill was severely disrupted by the Mongol invasions. Ossetian raids into Kartli, encouraged and supported by the Mongols, became more frequent—notably in the 1230s, during Mongol domination, when Ossetian raiders (In Georgian: motareshe) reportedly “burned Gori completely” with the Mongolian approval and support. After a three-year struggle, Georgian King George V the Brilliant succeeded in liberating Gori from the Ossetians.

After North Caucasian groups began settling in the Kartli highlands, relations between Georgians and Ossetians intensified. The first Ossetian settlement within present-day Georgia was in the Didi Liakhvi gorge; earlier Ossetian settlements appeared on the territory of “Bude Dvaleti.” In the first half of the 17th century, Ossetians moved from the North Caucasus to the headwaters of the Tergi and Didi Liakhvi rivers. By then, parts of the highlands in Inner Kartli had been depopulated as Georgians relocated to the lowlands. From the mid-17th century, Ossetians gradually moved south and settled in Georgian territory. Vakhushti Batonishvili’s maps and descriptions recorded Ossetian settlements in the early 18th century in the headwaters of the Ksani, Great Liakhvi, Small Liakhvi, Truso, Kudaro, Lekhuri and Mejudi valleys.

Ossetian settlement in Georgia was largely peaceful: Georgian kings and nobles welcomed them to repopulate deserted villages and revive cultivation. “In search of food, Ossetians explored the villages

of the Georgian highlanders; often they settled as nomads on lands belonging to Georgian feudal lords." Settlement was not always peaceful, however. According to the 18th-century historian Papuna Orbeliani, in 1746, "the Ossetians rebelled against the noble lords and began to fight them in Upper Kartli"—likely in the Ksani principality (In Georgian: Saeristavo), according to Historian Vladimer Ghunashvili. That anti-Georgian uprising of Ossetian serfs living in Georgia appears to have been organised and aided by North Caucasian Ossetians. To prevent them from rebelling in future, King Erekle II quelled the rebellion and subsequently raided their historical homelands.

Historian and ethnologist Vakhtan Ithonishvili (1958-2000) regarded "Ossianoba" as an especially painful chapter in Georgian history. Local terms for Ossetian raids—tareshi—included "Ossianoba" (Mtiuleti), "Ossoba" (Ksani Gorge), "Ovsoba" (Racha) and "Ossobia" (Imereti). These terms parallel Georgian labels for other foreign incursions—"Tatrianoba" (by Tatars), "Turkoba" (by Turks), "Urumoba" (by Urums, i.e. Turkish-speaking Greeks), "Osmaloba" (by Ottomans), "Qisilbashoba" (by Qizilbash, i.e. Turkic-speaking Shi'a militant groups who supported the Safavids) and "Lekianoba" (by Lezgi raiders)—all denoting national military forces invading Georgian lands, destroying settlements and enslaving or killing inhabitants.

Following Russia's annexation of Georgia in the 19th century, Ossetian settlement within Georgian territory continued to increase, and Russian generals repeatedly reported murders, looting and raids by North Caucasians. In 1809, General Alexander Tormasov (1752–1819) had five Ossetians hanged to suppress such banditry against Local Georgians, who suffered severely. General Khonev urged General Ermolov to permit Georgians to arm themselves for defence, since Georgians had been banned from carrying arms under Russian rule to discourage their desire for uprising against Russians; the general also argued that the Georgians should not be prosecuted for killing attackers in self-defence, a custom previously upheld under

King Erekle II, who decreed that any Ossetian killed during theft or raid would not be compensated for under the law of blood-price.

Karl Eichwald (1795-1876), a Baltic German scientist and traveller who visited Georgia in 1825–26, recorded that Ossetians living in the mountains far beyond Tskhinvali habitually plundered the town and murdered locals; Gori, too, suffered repeated raids. Ossianoba affected virtually all Kartli valleys, and its ruinous effects in the Great and Small Liakhvi valleys have been thoroughly treated in the works of Academician Giorgi Sosiashvili.

By the late 18th century, alongside Qizilbash (Qizilbashoba), Ottoman (Osmaloba), and Lezgi (Lekianoba) incursions, Ossetian raids (Ossianoba) had left many settlements in Inner Kartli in ruins; Georgian resettlement only resumed in the 19th century. As ethnic Georgians moved into Kartli from the western regions, Ossetians from the North Caucasus also settled on Georgian soil.

Academician Niko Berdzenishvili (1895-1965) described the Lekianoba period as Georgia's most trying era, yet Sophrom Mgaloblishvili (1851-1925) judged Ossianoba "far more severe": Ossetian raids were more destructive and persistent than those of the Lezgins; villages across Samachablo and Saeristavi estates were repeatedly attacked and robbed; though the Lezgins were defeated, Ossetian depredations continued to blight local life. One might expect a major difference between the Muslim Lezgi raiders and the Christian Ossetians, but when Kartli and Kakheti were eventually cleared of Lezgi incursions, they subsequently endured a longer and harsher period of Ossetian raids.

There are many further examples of Ossianoba in Georgian history than can be recounted here, including the renewed Georgian–Ossetian conflict since the late 1980s. Vakhtang Ithonishvili judged the 1989–92 conflict the most harrowing modern phase of Ossianoba, but he emphasised that analysing these storms of history should not obscure the enduring ties between Georgians and Ossetians; rather, it should help prevent a recurrence of such painful episodes between neighbouring peoples.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოსიანობა და ფრონის ხეობა

საკვანძო სიტყვები: ფრონის ხეობა, საქართველო, კავკასია, ოსები, სამაჩაბლო, თარეში, რუსეთი

ქართველებისა და ოსების ურთიერთობის ისტორია საუკუნეებს მოიცავს, შეიძლება ითქვას – ათასწლეულებსაც. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე ფარნავაზს დიდ დახმარებას უწევდნენ ეგრისის მმართველი ქუჯი და ოვსთა მეფე. აზოსთან (აზონთან) ბრძოლაში ძლევამოსილმა მეფემ „მისცა დაი თვისი ოვსთა მეფესა ცოლად“.[1] როცა ფარნავაზის ძეს, საურმაგს, ქართლის ერისთავები განუგნენ, სწორედ ოსებთან ნათესაური კავშირ-ურთიერთობები გამოიყენა მათ დასასჯელად: „მაშინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა, მამისსა დისწულსა მისსა, და ითხოვა შეწევნა, ხოლო იგი სიხარულით წავიდა შუელად მისსა და საურმაგ შეიკრიბა დურძუკეთიცა, და წარმოემართა ქართველთა ზედა და ვერავინ წინა აღუდგა მას და დაიპყრა ქართლი და მოსრნა განდგომილნი მისნი“.[2]

კავკასიაში მცხოვრებ ამ ორ ხალხს შორის ხშირი იყო თანადგომის, ურთიერთდახმარების, სისხლით ნათესაობისა და ნათელმირონობის მაგალითები. როგორც მოსე ჯანაშვილი (1855-1934) შენიშნავს, ოსების „მეგობრობა“ ქართველებისათვის მუდამ საკეთილო იყო. მათი დახმარებით, ქართველები არათუ იგერიებდნენ შემოსეულ მტერს, არამედ ხშირად შორეულ მიდიასა და პართიაშიც აღწევდნენ.[3]

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

თავის მხრივ, ოსებს ქართველებთან ურთიერთობა საშუალებას აძლევდა, მოეწყოთ ლაშქრობები ნადავლის მოსაპოვებლად სამხრეთით მდებარე ოლქებში, მოქცეულიყვნენ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური ამბების შუაგულში და მიეღოთ სარგებელი სამხედრო ქირის სახით.[4] „ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებული ქვეყანა, საქართველო, ოსებს და სხვა მეზობელ ხალხებს ანდამატივით იზიდავდა... მდიდარი ქვეყნები მეომარი ხალხების ვერცხლისმოყვარეობას თავისი ინტერესებისთვის იყენებდნენ. ისინი აქ უხვ ქირას, საჩუქრებს, მდიდარ ნადავლს ელოდებოდნენ და ღებულობდნენ კიდეც. ეს გარემოება, ერთად აღებული, ოსეთს საქართველოსთან ურთიერთობაში აქტიური კონტრაგენტის როლს ასრულებინებდა“.[5]

აღსანიშნავია, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად განვითარებული საქართველოს კულტურული გავლენა ოსებზე და, ზოგადად, ჩრდილო კავკასიის ხალხებზე, თუნდაც იქ მცხოვრებთა შორის ქრისტიანობის გავრცელებით, „რისი უტყუარი ნაკვალევიცაა X-XI საუკუნეთა მიჯნაზე და მომდევნო წლებში აგებული ქართული ეკლესიები“.[6]

ჩრდილოელ მეზობლებთან დაპირისპირებისა და გაუტანლობის ფაქტებიც ახსოვს ჩვენს ისტორიას. მართებულად შენიშნა ზაქარია ჭიჭინაძემ (1854-1931) ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში: თუკი ოდესმე ქართულ-ოსური ურთიერთობების დასუსტებას ჰქონდა ადგილი, ეს მტრების აგიტაციის შედეგი იყო, რათა უფრო გაადვილებოდა მეზობელთა გათიშვა და მათი ცალ-ცალკე განადგურება.[7]

საქართველოსა და ოსეთის ხელისუფალნი დიდად აფასებდნენ ურთიერთთანადგომის სასარგებლო შედეგებს. ამიტომ, ცდილობდნენ კეთილმეზობლური ურთიერთობები დინასტიური ქორწინებებითა და ნათესაური კავშირებით გაემყარებინათ. ჩვენი ხალხების ურთიერთ კეთილგანწყობა მკვეთრად შეცვალა მონღოლების შემოსევებმა. გახშირდა მტრისაგან

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

წაქეზებული და მხარდაჭერილი ოსების ქართლში შემოჭრის ფაქტებიც. ამის ნათელი ნიმუშია, თუნდაც, 1230-იან წლებში მონღოლთა ბატონობის პერიოდი და, მათი ხელშეწყობით, ოსთა თარეში. „იწყეს ოვსთა ოჯრებად, ჯოცად, და რბევად, და ტყუევნად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თავისად დაიჭირეს ოვსთა... და დაწვეს გორი სრულიად“.[8] მხოლოდ ხანგრძლივი, სამწლიანი ბრძოლის შემდეგ შეძლეს ქართველებმა მეფე გიორგი V ბრწყინვალის მეთაურობით ოსთაგან გორის გათავისუფლება.[9]

ჩრდილო კავკასიელთა ქართლის მთიანეთში ჩამოსახლების შემდეგ, ქართველთა და ოსთა ურთიერთობებმა ინტენსიურ ხასიათუ შეიძინა.

საქართველოს დღევანდელ საზღვრებში ოსთა პირველი განსახლების კერა დიდი ლიახვის ხეობა იყო. მანამდე ოსური ახალშენები „ბუდე დვალეთის“ ტერიტორიაზე გაჩნდა.[10] 1604-1615 წლებში ოსები კომპაქტურად სახლობდნენ ზახაში (დვალეთი) და მაღრან-დვალეთში (დიდი ლიახვის ხეობა).[11] როგორც ისტორიკოსი როლანდ თოფჩიშვილი აღნიშნავს, თერგისა და დიდი ლიახვის სათავეებთან ოსების დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. ამ დროისთვის შიდა ქართლის მთიანეთის გარკვეული ნაწილი ნასოფლარებით იყო მოფენილი. უწინ აქ მცხოვრები ქართული მოსახლეობა ბარში დამკვიდრებულა. „შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების – დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ისინი თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დასახელებული ორი ხეობის მთიან ზოლს მთლიანად. აქ, აღნიშნულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად“.[12]

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერისა და რუკების მიხედვით, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსები ცხოვრობდნენ ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის, თრუსოს, კუდაროს, ლეხურისა და მეჯუდის ხეობათა სათავეებში.[13] როგორც 1715 წლის ნიკოლოზ მროველ-ორბელიშვილის, იგივე, ყაფლანიშვილის რუისის სამწყსოს დავთრიდან ჩანს, ფრონის ხეობაში ოსების სამი კომლი ცხოვრობდა. აქედან ორი – თიღვაში, ერთი – ახალსოფელში: „თიღვას:[14] ქ. ოსი ოთია:. ქ. ოსი ლაზარე:.“.[15] ახალსოფელსა:[16] ქ. ოსი ოთია:. ა“.[17]

ოსების საქართველოში დამკვიდრებას, ძირითადად, მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ქსნის ხეობის სათავეებთან, ჟამურში დასახლებულ ოსებზე საუბრისას მიგვანიშნებს: „ამა ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრუნეთა მათგან გადმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბარსა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან“.[18]

როგორც ქართველი მეფეები, ისე თავადაზნაურობა ქართულ მიწა-წყალზე ასახლებდნენ ოსებს ყმა-გლეხთა რაოდენობის გაზრდისა და მიტოვებული ნასოფლარების კვლავაც ასათვისებლად. ჯონდო გვასალიას მინიშნებით, ქართველ მეფე-თავადთა მიერ ოსების საქართველოში დასახლებით ორი პრობლემა წყდებოდა: დემოგრაფიული და ეკონომიკური. XVII საუკუნის დასაწყისში, 1611 წელს გაცემულ თეიმურაზ I-ის წყალობის წერილში ვკითხულობთ: „ეს წყალობის სიგელი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს სახასო ყმათ, ნარის ხეობის ოსებს ხეთაგურებს. ასე რომ, ძველათაც სახასონი ყოფილიყავით, ახლაც ჩვენის სახასოდ უნდა იყვნეთ და როგორითაც თქვენს მამა-პაპათ ერთგულათ ემსახურებინოთ და ერთგულნი ყოფილიყვნენ, ისრე თქვენ ჩვენი ერთგულნი უნდა იყვნეთ და რაც ამათ ბატონებისაგან წყალობად ჯამაგირი ქონდათ, ისრე ჩვენ მწყალობელნი ვიქნებით. და ვისაც ჯამაგირი ქონია, ჩვენც ჯამაგირს მივცემთ“.[19]

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

1782 წელს ერეკლე II-მ დვალეთში მცხოვრებ ზარამაგელ ოსებს წერილი გაუგზავნა, რომლის მიზანიც საქართველოში ოსთა მოძრაობისთვის ფართო ხასიათის მიცემა იყო: „ჩვენთანაც ჩამოდით, ქართლშიც იარეთ, ვერავინ რას გაწყენინებთ. ამ ჩვენს გამოგზავნილ კაცს, რომელიც თქვენი ბეგარა არის, ისიც სრულად მიეცით. ექვსი წელიწადი არის, ბეგარა არ მოგიციათ, უნდა მოგვცეთ. სხვა ოსნიც სულ დაგვიბარებია და თქვენც ჩამოდით“.[20] 1794 წლის წყალობის წიგნის მიხედვით, მეფე ერეკლემ თარხანობა და აზნაურობა უბოძა ოს თუჯუკო კუდუხაშვილს ოსეთიდან თანამემამულეების გადმოსახლებისა და ქართლში დამკვიდრებისათვის.[21]

თავადაზნაურთაგან საყურადღებოა ოსეთიდან მიგრირებული ქუთა ფილიშვილის მიმართვა ფრონის ხეობის მებატონე ფალავანდიშვილისადმი, რომელიც 1780 წლის 16 თებერვლით თარიღდება: „მოვედით ოსეთით და გეყმენით. ჩვენ, რაც შეიძლებოდეს, თავდადებით ერთგულნი და მოსამსახურენი ვიყვნეთ და თქვენ – მწყალობელნი“.[22] იმავე 1780 წლითაა დათარიღებული იესე ოსეს ძე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი: „ოსეთში კაცი გავგზავნე ოსების საშოვნელად. ბევრი დამეხარჯა, მეპირებიან და ჯერ არა ჩანს რა – ეგების ყმა გაგვიმრავლდესთ“.[23] როლანდ თოფჩიშვილის დასკვნით, XVIII საუკუნეში შიდა ქართლში იმდენად კატასტროფული გახდა დემოგრაფიული სიტუაცია, რომ ქართლ-კახეთის მესვეურნი (მეფე, თავადები) თვითონვე იწვევდნენ ოსებს და ხელს უწყობდნენ საქართველოში დასასახლებლად.[24]

იმ დროისთვის, როცა ქართლში პირველი ოსური ახალშენები ჩნდებოდა, ჯონდო გვასალია ქართულ გარემოში ოსების დასახლებას საფრთხედ არ მიიჩნევდა, რადგან ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთვნოდაო.[25] მკვლევრის დაკვირვებით, „აღმოსავლეთ საქართველოში ქართველთა შერეულ ქორწინებათა მეტი წილი ოსებზე მოდიოდა. ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისის შეძლებულ მოქალაქეთა ოჯახებში, ქართველებთან

ერთად, ოსი ძიძებიც ჰყავდათ“.[26] სარჩო-საბადებლის მძებნელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ გზას. ხშირად ხიზნებად სახლდებოდნენ აქაურ ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე.

თუმცა, ოსთა საქართველოში დასახლკარება ყოველთვის არ იყო მშვიდობიანი. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის, პაპუნა ორბელიანის ცნობით: 1746 წელს „უკუდგნენ ოსნი ერისთვისანი და დაუწყეს ცემა ზემო-ქართლსა“.[27] ვლადიმერ (ვალო) ღუნაშვილის დასკვნით, საუბარი ეხებოდა ქსნის საერისთავოს.[28] ოსთა ანტიქართული გამოსვლა ჩრდილო კავკასიელი ოსებისგან უნდა ყოფილიყო ორგანიზებული და მხარდაჭერილი, რადგან მეფე ერეკლემ, უკუმდგარ ოსთა დარბევასთან ერთად, მათი ისტორიული სამკვიდროც მოაოხრა[29] ოსთა ქართულ მიწებზე საალაფოდ თარეშის ალაგმვის მიზნით.

„ოსიანობას“ სამართლიანად მიიჩნევდა საქართველოს ისტორიის გამორჩეულად მტკივნეულ ფურცლად ისტორიკოს ვახტანგ ითონიშვილი (1958-2000). მის მიერ მთიულეთში, ქსნის ხეობაში, რაჭასა და იმერეთში ფიქსირებული ტერმინებით, ოსთა თარეშს მთიულეთში ოსიანობას უწოდებდნენ, ქსნის ხეობაში – ოსობას, რაჭაში – ოვსობას, ხოლო იმერეთში – ოსობიას. ეს თავისთავად გვახსენებს „ანალოგიური სემანტიკის“ ქართულ ტერმინებს: „თათრიანობა ანუ თათრობა, თურქობა, ურუმობა, ოსმალობა, ყიზილბაშობა, ლეკიანობა ანუ ლეკობა“.[30]

საქართველოში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქართულ მიწაზე დასახლებულ ოსთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. რუსი გენერლები ხშირად მიუთითებდნენ ჩრდილო კავკასიელთა მიერ ქართველთა მკვლელობასა და ქართული სოფლების ძარცვა-რბევაზე. ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად, 1809 წელს გენერალმა ალექსანდრე ტორმასოვმა (1752-1819) ჩამოხრჩობით სიკვდილი მიუსაჯა ხუთ ოსს. ოსების მიერ ქართველებზე თავდასხმათა აღკვეთის მიზნით, გენერალი ხონევი

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

გენერალ ერმოლოვისგან პატაკით ითხოვდა, რათა ქართველებისთვის იარაღით თავის დაცვის უფლება მიეცათ. ამასთან ერთად, ქართველებს პასუხისმგებლობა არ უნდა დაკისრებოდათ ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა მოკვლისათვის, როგორც ეს კახეთში იყო დაწესებული მოთარეშე ლეკებისაგან თავდაცვისას. გენერალ ხონევის აზრით, ქართველები ვალდებული უნდა ყოფილიყვნენ, ყოველი ასეთი შემთხვევის თაობაზე ეცნობებინათ ხელისუფლებისთვის: „ესა თუ ის ოსი მოკლულია თავდასხმისა და ძარცვის დროსო“.[31] მძარცველთა დაღუპვის გამო არც მეფე ერეკლეს დროს აგებდნენ პასუხს ქართველები: „ესეც მიბრძანებია, რაც ოსი ან ქურდობაზე მოკვდება, ან მოხდომაზე, იმას სისხლი აღარ გაუჩნდებათ და არც მიეცემათ“ – ვკითხულობთ ქართლ-კახეთის მეფის განჩინებაში.[32]

ოსები ცხინვალს იქითა მხარეს, მთებში ცხოვრობდნენ. ადრე ისინი ცხინვალს გაუთავებლად ძარცვავდნენ და ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ხოცავდნენო,[33] წერდა 1825-1826 წლებში საქართველოში მყოფი, ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური, კარლ ედუარდ ფონ აიხვალდი (1795-1876), რომელიც ოსთაგან გორის ძარცვაზეც მიუთითებდა: ცოტა ხნის წინ აქ სიმშვიდე ოსთა ყაჩაღობის გამო განუწყვეტლივ ირღვეოდაო.[34]

ოსიანობაზე საუბრისას, განსაკუთრებით რთული აღსაქმელია 1621-1650 წლებით დათარიღებული მამულის ნასყიდობის ერთი ისტორიული სიგელი, მიცემული ჭი...[35] ივანე და ზაქარიას მიერ ქვაბულ და ზაალ მაჩაბლებისადმი. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან. ღმერთი იყოს მოწამე, ასრე ამოწყდა, რომე კაცის ნაშენები აღარა იყო-რა. მოგყიდე ზემო ჯავას ძიგანიძის მამული მისითა სასაფლაოთა, სახნავითა, სათიბითა, წყლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა. ძიგანიძე, მისი მემკვიდრე დაკარგული იყო და ფასი იმისიც ავიღეთ. აწ მოგვიყიდია ჩვენი მკვიდრი მამული, შემოუცილებელი

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ყოვლის მებატონისაგან. ვერც ბატონი ჩვენი შემოგეცილოს და ვერც სხვა... ასეთს დროს მოგყიდეთ, რომ ორგან სამგან დედამ შვილი შეჭამა, კაცმა ცოლი გაყიდის და თავად დარჩის. ჩვენ თვით ასრე დაგვემართა, რომე ათის სულის ჯალაბისაგან ხუთის მეტი აღარ მორჩა. ჩვენის მკვიდრის მამულის ნავაჭრი ფასი მოვასწარით და ღვთით დავრჩით, ღმერთმან დაგვიმადლოს, რომე ჩვენი მკვიდრი მამული იყიდეთ და დაგვარჩინეთ, თვარემ სრულებით ამოვსწყდით. აწ ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. ვინც ამა გასყიდობას შემოგეცილოს, რისხვამცა ღმერთი. ამისნი მოწამენი არიან ეფენიაშვილი მოძღვარი სვიმონ, გურჯიშვილი ლომი“.[36] ჯონდო გვასალიას დაკვირვებით, ოსები იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ სახლობდნენ ზემო ჯავაში. ისინი ყაჩაღობით იკლებდნენ ქართლის ხეობებს და ასეთ მძიმე ვითარებაში აყენებდნენ აბორიგენ მოსახლეობას. ოსთა საოჯახო „ხაზინა“ ქართველ მემამულეთა დარბევის ხარჯზე ივსებოდა. ამაყობდნენ კიდეც იმით, რომ საქართველოში ლაშქრობდნენ და „უცხოტომელთა“ ანუ ქართველთა ძარცვით ითბობდნენ ხელს.[37]

„ქურდნი, მპარავნი, მტყუარნი, ხარბნი... ტყვის მყიდველნი, გარნა არა თვისთა ჰყიდიან“ – ასე ახასიათებდა XVIII საუკუნის დასაწყისში ვახუშტი ბატონიშვილი ოსებს.[38] ამავე საუკუნის ბოლოს კი, 1783 წლის ოქტომბრის თვით დათარიღებულ წერილში, ერეკლე II პოტიომკინისადმი[39] მიწერილ წერილში წერს: „მოგახსენებთ ამასა, რომ რაოდენნიმე აქეთის მთის ოსნი ჩვენს ქვეყნებში ქურდობენ, კაცებს ატყვევებენ და ჩერქეზში ჰყიდიან“.[40] მხოლოდ ამ წერილში არ გამოხატავს მეფე ერეკლე ოსებისადმი უკმაყოფილებას. ქართლ-კახეთის მეფის 1774 წლის ბრძანებაში ნათლად ჩანს არსებული სიტუაცია: „რომელნიც არაგუზედ დადებულნი ოსები ხართ, ყველამ გაიგონეთ: თქვენი სიავკაცე ქართლში დიაღ გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივისთო“.[41]

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ქართლ-კახეთის ხელმწიფე გულისწყრომასაც გამოხატავდა ქართველი გლეხების მიმართ, რომლებიც ლეკთა და ოსთა თარეშს სათანადოდ ვერ ხვდებოდნენ: „რა დაგემართათ და რა მოხდა, ოცი ლეკი მოვა, თქვენ გახდენსთ, ოცდა ათი თქვენ გახდენსთ, რომ ჯმას ვერ გასცემთ და ყველანი ერთად არ შეიყარენით და ოსები ცოლებს და შვილებს გტაცებენ და ჯმა ვერ გაგიციათ. სირცხვილი არა გაქვსთ და ნამუსი. და ეს იცით, როცა თქვენი მეზობელი აღარ იქნება, აღარც თქვენ იქნებით. ქვეყანაში თავი როგორღა გამოგეყოფათ, რომ იმათგან გეშინოდესთ“.[42]

მეფე ერეკლეს ერთგვარ „დამუნათებას“ გვახსენებს, თითქმის, საუკუნის შემდეგ, 1898 წლის 5 დეკემბრის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მართალაძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია, რომელიც სოფელ აწრისხევს ეძღვნება.[43] როცა ოსები დაგვესხმოდნენ თავს, გავარდებოდა ხმა მდევრისა და ბიჭები ისე დავეცემოდით, როგორც მეხი და იმათი საცოდაობით ცა და დედამიწა იწოდაო, ყვებოდნენ მოხუცები და ახალგაზრდებს კიცხავდნენ: „ეხლა რა ხართ? შემოვა ორი მუნიანი ქურდი ოსი სოფელშიაო, თქვენ თვალწინ გტაცებთ საქონელსა და შიშით ხმას ვერა სცემთო. გარბიხართ ორმოცი ვერსის მანძილზე ბოქაულთან და სინამ არ მოგეშველებათ, ქურდმა ცხრა მთა გადაატარა შენი ხარიო“. ძველების აზრით, უნდა შეყრილიყვნენ, გამოდგომოდნენ მდევარს და სადაც წამოეწეოდნენ, თუ მოკვლის ნება არ ჰქონდათ, შეეკრათ, დაეთრიათ და ჩამოეტანათ „ამ ოხერ სოფელში“. მხდალი იყო მათი დაკვირვებით „ქურდბაცაცა ოსი“ – შეეშინდებოდა და ვეღარ გაბედავდა ქართველთა სოფელში თარეშს. სინანულიც ჩანს აწრისხეველი მოხუცების ნაამბობში გარდასული ახალგაზრდობისა და ჩავლილი დროის გამო. განრისხებაც ჩანს ყაჩაღთა მიმართ და ერთგვარი უიმედობაც მომავლისა. დაასრულებს „მოხუცი თავის ლაპარაკს და ერთს ისეთსა ამოიოხრებს, რომ თითქოს გულის სატრფო მოჰკდომიაო“...[44]

ოსიანობა ქართლის ყველა ხეობას შეეხო. დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მისი სავალალო შედეგები ამომწურავადაა გაანალიზებული აკადემიკოს გიორგი სოსიაშვილის მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში.[45] ქსნის ხეობაში „ოსობის“ ფაქტებზე ჩემს არაერთ ნაშრომშია ყურადღება გამახვილებული.[46] ფრონის ხეობაში ოსიანობის შესახებ არსებულ რამდენიმე ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1715 წლის რუისის საეპისკოპოსო დავთრის მიხედვით, ფრონის ხეობის სამწყსოს სოფლებში ოსების მხოლოდ სამი კომლი ცხოვრობდა. „ფრონელი ოსები“ არც XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედის იმ ისტორიულ საბუთებში ჩანან, სადაც ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობაზეა საუბარი.[47] ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული შესაბამისი პერიოდის წყაროებში შიდა ქართლის 69 დასახლებული პუნქტის მოსახლეობაა აღწერილი. მათი დიდი ნაწილი 1922 წელს შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს დაუქვემდებარეს, მათ შორის, დავთრებში მოხსენიებული ფრონის ხეობის რამდენიმე სოფელიც.

ყიზილბაშობასა და ოსმალობას, ლეკიანობა და ოსიანობაც დაერთო, რამაც XVIII საუკუნის ბოლოსთვის შიდა ქართლის არაერთი სოფელი აქცია ნასოფლარად. ამ მხრივ ფრონის ხეობაში არსებული სიტუაციის საილუსტრაციოდ, გავაანალიზოთ იოანე ბატონიშვილის 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერა, რომლის მიხედვით, ფცის, ალისა და სურამის წყალზედ ნასოფლარად იყო ქცეული ქართული სოფლები: ქვენა ტკოცა, ტკოცა, ბერძენაული, ფლევი, ღოღეთი, ქვათეთრისი, მძვივლეთი, სხლითი, მუღრისი, ფრინევი, თამარაშენი, საციხური, წაღვლი, აბანო, წყლულეთი, ჭვრინისი, ბალთა, ქალეთი, ბათქინეთი (ადრინდელი ფათქინეთი), მეტეხი, წირეთი, ურმის ჯელი, მწიფლისი, ღარისთავი, შინდარა, სურნისი, მუხაური, ოქონა, ოჟორა, ხტონა, თერეგვანი, ახალშენი, არამგამა, ჯუნდის უბანი,

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

მთვარეული, ტყისუბანი, კნოლევი (ფცის ხეობა); სომენეთი, ბრილი, დუმაცხო(ვი), ქინძათი, ბროლოსანი, უწლევი, ულუმბა, იგივე მონასტერი (ალის ხეობა); ახალსოფელი, კლდის წყარო, ლუბრ(უ)მა, კაკალათხევი, ქემერტი, წაბლოვანი, ოძისი, ცედანი, შინდისი, ბიჯნისი, ჯაფნიაური, უთხვა, ჩუმათელეთი, წიფა (სურამის ხეობა).[48]

იავარქმნილ სოფლებს XIX საუკუნეში კვლავ დაუბრუნდა მოსახლეობა. ძირითადად, დასავლეთ საქართველოდან მიგრირებულ კომლებთან ერთად, ქართულ მიწაზე ჩრდილო კავკასიიდან ხიზნად მოსული ოსებიც დამკვიდრდნენ.

1886 წლის რუსული კამერალური აღწერის საოჯახო სიების მიხედვით, ატოცის საზოგადოებაში ქართველებთან ერთად ოსებიც ცხოვრობდნენ შემდეგ სოფლებში: ბრეძა, ლოპანი, ფათქინეთი (ბალთა). მხოლოდ ოსები ცხოვრობდნენ მეტეხში, ცენელისა და ჭურისხევში. სულ 98 კომლი (478 მამაკაცი, 343 ქალი).

დირბის საზოგადოებაში ქართველებთან ერთად ოსებიც ცხოვრობდნენ ძვილეთში (3 კომლი: 18 მამაკაცი, 8 ქალი). მხოლოდ ოსები სახლობდნენ ქვათეთრში (22 კომლი: 93 მამაკაცი, 83 ქალი). ჯამში 25 ოსური კომლი (111 მამაკაცი, 101 ქალი).

ვაყის საზოგადოებაში ოსებით დასახლებული სოფლები იყო აგარა (11 კომლი: 39 მამაკაცი, 28 ქალი) და ზემო გომი[49] (46 კომლი: 130 მამაკაცი, 100 ქალი). სულ 57 ოსური კომლი (169 მამაკაცი, 128 ქალი).

ნაბახტევის საზოგადოებაში ქართველებთან ერთად ოსები ცხოვრობდნენ ახალ ფლევში. სულ 7 კომლი (28 მამაკაცი, 22 ქალი).

სურამის საზოგადოებაში ოსების მხოლოდ ორი კომლი ცხოვრობდა (4 მამაკაცი, 5 ქალი).

თერეგვნის საზოგადოებაში ცხოვრობდა 153 კომლი ოსი (623 მამაკაცი, 538 ქალი). მხოლოდ ოსები მკვიდრობდნენ სოფლებში: დონაძეში, ლისის-ბოლოში, ლისოში, მუხაურში, ნაგუთში, ოჟორაში, ტბაში,

ტოტანაურში, ჩ(რ)დილეთში. ქართველები და ოსები ცხოვრობდნენ ძაღინაში, თერეგვანსა (რუსებთან ერთად) და ჴუნდის-უბანში (ხუნდისუბანი).

თიღვის საზოგადოებაში ცხოვრობდა 57 კომლი ოსი (229 მამაკაცი, 140 ქალი). მხოლოდ ოსები ცხოვრობდნენ სოფლებში: გორისთავსა და ნინოწმინდაში, ქართველები და ოსები – ნაბაკევსა და თიღვაში.[50]

ხცისის საზოგადოებაში აღწერილია 117 კომლი ოსი (557 მამაკაცი, 456 ქალი). მხოლოდ ოსები ცხოვრობდნენ სოფლებში: ალექსანდრეს-წყარო, ღართა, ახალი კრისისხევი, დიდი და პატარა თხილნარა, ქვემო ხალები; ქართველები და ოსები: კრისისხევში, დიდ კრისისხევსა და მღვრია-წყალში.

წაღვლის საზოგადოებაში ცხოვრობდა 9 კომლი ოსი (37 მამაკაცი, 30 ქალი). სოფელ წაღვლის მოსახლეობა 732 სული იყო, სადაც ქართველებთან ერთად სულ სამი ოსი ცხოვრობდა: ერთი მამაკაცი და ორი ქალი. სოფელ გვირგვინაში მხოლოდ ოსები ცხოვრობდნენ (8 კომლი: 36 მამაკაცი, 28 ქალი).

წრომის საზოგადოებაში ცხოვრობდა 85 კომლი ოსი (346 მამაკაცი, 300 ქალი). ოსები ცხოვრობდნენ სოფლებში: ვაკე-ნასოფლარი, ჯაგაანთ-შვილის-კარი, ყელეთი (იმერეთიდან მიგრირებულ მოსახლეობასთან ერთად), მაწლეთი (ქართველებთან ერთად), ოქროს-სოფელი (ქართველებთან ერთად), ცუცქეთი და ხოვლეთი (იმერეთიდან მიგრირებულ კომლებთან ერთად).[51]

როგორც XIX საუკუნის კამერალური აღწერის მონაცემებით ირკვევა, ფრონის ხეობის სოფლები, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს ლეკთა და ოსთა თარეშის შედეგად ნასოფლარად გადაიქცა, ძირითადად, დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებულმა კომლებმა დაიკავეს.

XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან ქართველი მემამულეები ხიზნებს ასახლებდნენ ბალთაში, ძაღინაში, ოჟორაში, წორბისსა და ბეყმარში. ამის შემდეგ ხიზნების დასახლება მასიურად ხდებოდა ხეობის მთიან რეგიონში.

1850-იანი წლებისთვის გაშენებულა სოფლები: ღარისთავი, მეტეხი, სხლითი, ხტანა, თორმანეული, ამბრეტი, განიანთკარი, ხოდა, ფრინევი, მუღრისი და ქვათეთრი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფრონის ხეობაში ხიზნების რაოდენობამ მკვეთრად იმატა. იმ დროისთვის ისინი ცხოვრობდნენ სოფლებში: ჭურისხევი, ერწო, ნაგუთნი, ნავათ-მორევი, ფიჭვიგინა, ლოპანი, გვირგვინა, ლისა, გადიგანა, თელაგინა, ტოტანაური, სამწყალი, კოროჟის უბანი, ციხიანი, თხის ზურგი, ჭვრინისი და გიორგი-წმინდა. „1890 წლიდან მემამულეები არ სცხრებიან და ისევ განაგრძობენ ხიზნების დასახლებას. შეუბრალებლად სპობენ გაუვალ ტყეებს და შენდება შემდეგი სოფლები: ბზების-ხევი, ჯვარი, ბოსტანა, თელიანი და ქიშილას-ახო. ამას არ კმარობენ, ამითი არ კმაყოფილდებიან. დროებით ვალდებულ გლეხებს ართმევენ ჩამონაჭრებს და ზედ ხიზნებს ასახლებენ“.[52] თერგვანში, ახალშენში, ხუნდის უბანსა და შინდარაში მამულები დროებით-ვალდებულ გლეხებს ეკავათ. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ აქაც ჩაუსახლებიათ ხიზნები.

ფრონის ხეობაში ოსების ავკაცობის ფაქტებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვხვდებით. ამის დასტურია შეგვიძლია სოფელ აბისის[53] ეკლესიის კარისთავზე შემორჩენილი 1754 წლის წარწერა: „წყლისაკენ წმინდა გიორგი, ხმელეთისაკენ ნათლისმცემელი, შუაზე კოშკი დგას, არავისაგან ასაღებელის. ჩვენ ზაალ მახვილაძემ ჩვენს სასულიერო და ამ სოფლის მოსარჩენათ აღვაშენე ესე ეკლესია ნათლისმცემლის დედისა დიდებულისა. დიდხანს ლეკისგან, ოსისგან ხარაბა[54] იყო. აღვაშენე მოსახსენებლად სულის ჩემისა“.[55] წარწერის ნამსხვრევები თავის დროზე უნახავს პარმენ ზაქარაიას და ტექსტიც მას ამოუკითხავს: ოსებისა და ლეკების დარბეული ციხე დარბაზი და ეკლესია ზაალ მახვილაძეს აღუდგენია.

XVII საუკუნის პირველი ნახევრის წყაროების მიხედვით, აბისი ავალიშვილთა ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. 1779 წელს ამ ისტორიულ ქართულ სოფელზე სოლომონ რევაზიშვილსა და გლახა მახვილაძეს ჰქონიათ დავა, რომელიც ერეკლე II-ს გლახა მახვილაძის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. აბისის ახალი მფლობელი ზაალის მიერ აბისელების თავდასაცავად აგებულ ციხე-დარბაზში სოფლის მცხოვრებთ აღარ უშვებდა თურმე. არადა, ლეკიანობა და ოსიანობა კვლავაც ხშირი იყო. ეს ფაქტი მეფე ერეკლესთვისაც გამხდარა ცნობილი, რის გამოც განრისხებული მონარქი მახვილაძეს ციხის დანგრევით დამუქრებია: „ჩვენი ბრძანება არის მახვილაძე გლახავ, მერე ეს აბისელები, ვინც ვინ დღეს მანდ სახლობენ, როდესაც მაგ შენს ციხეში დასახიზნავად მოვიდნენ და არ შეუშვით ფიცითა, გწერთ, რომ მაგ ციხეს ძირიდან გადმოგიბრუნებთ. ასე იცოდე, თუ რომ არ შეუშვი. ნოემბრის ით (10), ქნკ უოზ (=1789) წ.“.[56] XVIII საუკუნეში აბისში ყმები ამირეჯიბსაც ჰყოლია. სერგი მაკალათიას მიერ ჩაწერილი ხალხური გადმოცემით, როცა გლახა მახვილაძესა და მის სიძეს – ამირეჯიბს შორის აბისის მამულზე დავა შექმნილა, ხალხი ამირეჯიბს მიმხრობია და მის ერთგულებაზე დაუფიცია, მახვილაძე კი სოფლიდან გაუძევებიათ.[57]

დაღესტნელი აბრაგებისა თუ ალან-ოსებისგან აწიოკებული აბისელები, ვინც ციხე-გალავანში ვერ თავსდებოდა, სოფელ ატოცისკენ[58] გარბოდა. ხალხის რწმენით, „ატოცის საჯვარეს იქით ატოცის წმინდა გიორგი ლეკებს არ უშვებდა, თვალებს უბრმავებდა“.[59]

ნიკო ბერძენიშვილი ლეკიანობას საქართველოს უმძიმეს ძნელბედობის ჟამად მიიჩნევდა,[60] თუმცა, ლეკიანობაზე მძიმე „სენად“ ოსიანობას თვლიდა სოფრომ მგალობლიშვილი: „ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთ თარეშობასთან... ის სოფლები, რომლებითაც მოდებული იყო სამაჩაბლო და საერისთავო მამულები, აკლებული იყო გაყაჩაღებული ოსებისაგან...

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

დაირღვა მყუდროება სოფლისა. ლეკს მორჩნენ და ოსებმა უარესი დღე დააყენეს“.[61] თითქოს, მკვეთრი სხვაობა უნდა ყოფილიყო „უშჯულო“ ლეკებსა და ქართველებთან ნათელმირონობით დაკავშირებულ ოსებს შორის, მაგრამ „ლეკს მორჩენილი“ ქართლ-კახეთი ოსიანობის უფრო ხანგრძლივსა და მძიმე ჟამს გადაეყარა: „ჩვენსა ოსობა იყო ძნელი, ღამე კაცი გარეთ ვერ გამოდიოდა“.[62] „წინავ ლეკები და ოსები მოდენილან. იტაცებდნენ ხალხს, წაასხამდნენ ცხორსა, ძროხასა. შიშიანობა ყოფილა მაშინ... როგორც გახევა და გაფხრეწაა ერთი, ისე ლეკიანობა და ოსიანობაა ერთი“, შენიშნავდნენ ხანდაზმული ინფორმატორები.[63] ვახტანგ ითონიშვილის მართებული დასკვნით, ოსიანობა თუ ოსობა ლეკიანობაზე უფრო რთული „ანატომიის“ მქონე მოვლენა იყო, ვინაიდან ის არა მარტო დროში უსწრებდა ან ემთხვეოდა ლეკიანობას, „არამედ ოსთაგან საქართველოს მიწა-წყლის გარკვეული ნაწილის მიტაცების იდეის პოსტემბრიონული განვითარების ყველაზე აქტიური პერიოდის (XIX-XX სს.), თითქმის, მთელ სიგრძეზე განსაკუთრებით მწვავედ გვახსენებდა თავს“.[64]

ყორნისში[65] დამკვიდრებული ოსების მიერ ქართველ თავადთა მიმართ მტრულ დამოკიდებულებაზეა საუბარი თავად ერისთავის 1874 წლით დათარიღებულ წერილში. როგორც იგი წერს, „ყორნისელი“ ოსები მუდმივად ავიწროებდნენ თავად ხერხეულიძეებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიწაზე ცხოვრობდნენ. თუ მიწის მესაკუთრე უჩივლებდა, ოსები მზად ყოფილან, შური ეძიათ, არ იყო გამორიცხული მებატონეებსა და ყმებს შორის დაპირისპირება სისხლის ღვრამდე მისულიყო. ერისთავი თვითონაც ადგილობრივი მიწის მესაკუთრე იყო და კარგად იცნობდა ხიზნად მოსულთა თვისებებს, ხასიათსა და წეს-ჩვეულებებს... თუ XVIII საუკუნისთვის ყორნისის ხეობის მოსახლეობა ეთნიკური ქართველებისგან შედგებოდა, 1847 წლის მონაცემებით, ხეობის სოფლებში:

დოკეთი, ძარა, რუსთავი, წორბისი, ბეყმარი, მალდა, თორმანეული, ოჟორა და ყორნისი ოსები ცხოვრობდნენ.

ოსებისა და ლეკებისაგან წახდომაზე წუხდა ზურაბ ფალავანდიშვილის ყმა – ივანე კობერიძე მეფე ერეკლესადმი მიწერილ 1789 წლის 19 სექტემბრის არზაში: „ქ. ღმერთმან ბედნიერი ხემწიფის ჭირი მოსცეს ფალავანდის შვილის ზურაბის ყმას კობერიძე ივანეს. ოსისა და ლეკისაგან წამხდარი კაცი გახლავარ. ერთი ოქმის წყალობით მიყ[ავით], რომ სხვის ხარჯი მე არ გადამხდეს. ერთი თოფი ეხლაც დაკარგული მაქვს სხვის ხარჯისათვის, მტრისგანაც წამხდარი ვარ. გოგია უზბაშის[66] ქვრივი და ობლებიც მაწუხებენ. ჩემი სარჩენნი არიან. სეკდენბრის ით (19), ქორონიკონს. უოზ (1789)“.[67]

მეფე ერეკლემ კარგად იცოდა, რა მდგომარეობაში იყო უცხოტომელთა მიერ შეჭირვებული ქართველი გლეხკაცობა და კობერიძის თხოვნას მალევე გამოეხმაურა: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, ვინცავინ მოასილნი იქნებოდეთ! ამას რაც თავისი წილი ეწეროს ხოლმე, იმას კი გამოართმევდეთ და სხვის მეზობლისას და მისის ბატონის ყმის წილს ამას ნურას გამოართმევთ, იცოდეთ. სეკდენბრის კბ (22), ქორონიკონს უოზ (1789).

ამას რომ თოფი წართმევია სხვის გულისათვის, ის თოფი ვისაც გქონდესთ, ამასვე მიეცით და ვისაც აკლდეს, იმას გამოართვით.

ქარუმიძევ და კოკრიკვიძე, ეგ თოფი თქვენ გაქუსთ, ამას მოეცით და ვისაც აკლდეს, იმას გამოართვით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე“.[68]

მსგავსი შინაარსის არზები, სადაც ქართველი გლეხები ოსებისა და ლეკებისგან შევიწროებაზე წუხდნენ, ქართლ-კახეთის მეფის სახელზე ხშირად იწერებოდა. „რომელმაც ოსმა ქურდობა ჰქმნას, საქონლის მოპარვა, კაცის კვლა, თუ ტყვის გასყიდვა, ოცნი ამხანაგნი რომ იყვნენ და იმ ოციდამ ერთი ჩავიგდოთ ხელში, სულ იმან უნდა ზღოსო“, ბრძანებდა მეფე.[69]

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

1794 წლის არზით ზაალ დავითიშვილი ერეკლე II-სა და კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს მიმართავდა თხოვნით: „ერთი ოქმი მებოძოს ზაზა ამირეჯიბზე, რომ ვინც შემორიგებული ოსი და მძევალში გატეხილი ჩემს ამოწყვეტასა და აკლებაში ყოფილიყოს, ის დავიჭიროთ, საცა დავახელოთ და იმისი ნათესავი სახლისკაცი, რომელიც დავახელოთ და ჭეშმარიტი შევიტყოთ, ზაზამ და(ა)ხელოს, თუ მე დავიჭირო ჩემი მესისხლე, არავინ დაგვიშალოს, ღმერთი გაგიმარჯვებს“.[70] მერე ერეკლემ ამ შემთხვევაშიც დააკმაყოფილა მებატონის თხოვნა: „როგორც ამ დავითიშვილს მოუხსენებია, სადაც ამისი მოსისხლე დაახელოთ შენ თუ ამათ, ან იმისი ნათესავი და ან სახლიკაცი დაახელოთ, დაიჭირეთ და დავითიშვილს მოაბარეთო“[71] – მიმართავს იგი მინბაშ[72] ზაზა ამირეჯიბს.

1795 წელს ანტონ II-ისადმი მიწერილ არზაში ზაალი ისევ წუხდა ოსებისაგან აკლების გამო: „ჩემო მოწყალევ! ხომ მოხსენდა თქვენს უწმინდესობას, უსჯულოთ ოსთ როგორ ამიკლეს, რომ ჩემს ბედობაზე აღარა გაუშვეს რა, ხუთი ტყვე დასახსნელი მყამს, სხვას მოწყალებასაც მოველი თქვენის სიწმინდისაგან, თორემ ჩემი არ მიბოძოთ, ჩემო ხელმწიფევ, ამ ეკლესია[ს] რათ უნდა უსამართლო“... „უსამართლო არც ეკლესიას უნდა და არც ჩვენო“, დასძენდა დადებით პასუხში კათალიკოსი.[73]

XIX საუკუნის დასაწყისში, ავი დროის მიზეზით, ოსთა თარეშისგან დაცლილი ყოფილა მროველს მიბარებული ღვთისმშობლის მონასტერი.[74] ოსები არც ქალს ინდობდნენ და არც ბავშვს, არც ახალგაზრდას და არც მოხუცს. სამწუხაროდ, ისინი ზოგჯერ თანამოძმეზე შურისმაძიებელ ქართველთა წაქეზებით მოქმედებდნენ: „ჩვენ რომ ობლები გახლდით, იმ ჟამით ერთი ბებერი გყვანდათ. კვალიაშვილმა ივანემ ოსები მოუსია. ეს ბებერი ძუძუებით ჩამოაკიდვინა. ამდენი სცეს, რომ ათი ფრჩხილი ფეხისა დასცვივდა“ – ატყობინებდნენ მუხისელი[75] რევაზიშვილები ანტონ II-ეს.[76]

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

საფალავანდოში ხიზნების დასახლება XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. ამავე საუკუნის ბოლოსთვის კი ფალავანდიშვილების კუთვნილი „მასალის ტყე“ 12 490 დესეტინას შეადგენდა, „ბუჩქნარ-წვრიმალა“ ტყეს 2 233 დესეტინა ეკავა, ხიზნები 9 820 დესეტინას ფლობდნენ, დროებით ვალდებულ გლეხებს „უსტავნი გრამოტით“ მიღებული ჰქონდათ 655 ნახ. დესეტინა და სარგებლობდნენ ტყითაც – 300 დესეტინა. გლეხებსა და სხვა პირებზე საკუთრებაში გადავიდა 20 230 დესეტინა, მემამულეებს დარჩათ 2 000 დესეტინა.[77]

ხიზნების მიერ შეუბრალებლად იჩეხებოდა გაუვალი ტყეები, რაზეც გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის 4 თებერვლის ნომერიც აუწყებდა მკითხველს: ფალავანდიშვილების ტყე პატრონების უზრუნველობის გამო აქამდე ოხრდებოდა და ახლა შეკრული იქნაო. ფალავანდიშვილების ტყის მოვლაზე ერთმანეთში პირობა დაუდიათ, აურჩევიათ ტყის გამგე, ზედამხედველები და დაუარსებიათ კანტორა. სამწუხაროდ, „ამ კეთილის განზრახვის შესრულებას“ წინ აღდგომიან ხიზნები – ფალავანდიშვილების მამულში დამკვიდრებული ოსები თავიანთი „სიმართლით“: „როგორც აქამდის გვისარგებლია, ისე უნდა ვისარგებლოთ... თუმცა ვიცით, ტყე ფალავანდიშვილებს ეკუთვნისო“. თავადებისა და ყმების დაპირისპირების შესახებ მაზრის უფროსისთვის უცნობებიათ და გადაწყვეტილებას მისგან ელოდებოდნენ.[78] ფალავანდიშვილების მიწაზე მცხოვრები ხიზნები 900 კომლს შეადგენდნენ. მემამულეებსა და მათ შორის ყოველწლიურად ჰქონია ადგილი ღალის გამო შეტაკებებს. ბევრჯერ სისხლიც დაღვრილა. ერთმანეთის მიმართ განწყობა დღითი დღე უარესდებოდა და საშველი არ ჩანდა.[79]

ფრონის ხეობაში გახშირებულ ქურდობასა და ავაზაკობაზე საუბარია „ივერიის“ 1891 წლის 19 სექტემბრის ნომერში. წერილი უშუალოდ ეხება სოფლებს – საღოლაშენსა და ბრეთს. 12 სექტემბერს საღოლაშენში ქურდებს ერთი გლეხისთვის ხარი და

ძროხა მოუპარავთ და ბაკის ღობიდან „უცნაური მოხერხებით“ გაუყვანიათ. მეორე ღამეს სოფლის მღვდელთან მისულა ოსურ ენაზე მოსაუბრე სამი ყაჩაღი. აუნგრევიათ ბაკის ღობის ფიცრები, ცხენისთვის თოკის ავშარა ამოუდიათ, ასევე თოკი მოუბიათ „ერთის ხარისთვის კისერზე, ხოლო მეორე წვერი გამოემარხუშნათ მეორე ხარის ან ძროხის წასაბმელად.“ როცა საქონლის წაყვანა დაუპირებიათ, პატრონებს გაუგიათ და ქურდები საღოლაშენიდან გაქცეულან, იქიდან კი სოფელ ბრეთში აუვლიათ და ბაკიდან კიდევ ერთი გლეხის ხარი გამოუყვანიათ.[80]

ამ პერიოდის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან აშკარაა, რომ ქურდობას, ძირითადად, ჩრდილო კავკასიიდან ქართლში არცთუ დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ოსები ეწეოდნენ. თუმცა, მათ ხელშემწყობად ქართველები გვევლინებოდნენ, რასაც „ივერიის“ კორესპონდენტიც აღნიშნავს: „ჩვენსკენ ყველა იმ აზრისაა, რომ ქურდობას მარტო ოსები არა სწევენო; იმათ უწინამძღვრებენ ისევ ჩვენივე ახლო-მახლო მეზობლები, რომელთაც კარგად იციან ყველა აქაური სოფლის გარემოება და ვითარებაო. ვინ არიან ეს მეზობლები და ან ვინა კადრულობს ამისთანა სამარცხვინო ხელობას, ამას დაბეჯითებით არავინ ამბობს“.[81]

ფრონის ხეობაში რომ ქურდობა ასრე რიგად მოხშირებული იყო და მიზანში, უმეტესწილად, სოფლის მღვდლები ჰყავდათ ამოღებული, ამის შესახებ 1875 წლის „დროებაც“ მოგვითხრობს. ავტორი ს. ზაქარიაძე სოფელ დირბში მოქმედ თორმეტკაციან ბანდაზე საუბრობს, რომლებიც მღვდელ სამადალოვს (სამადალაშვილს) დასხმიან თავს. მღვდლისა და მისი თანასოფლელების მონათხრობით, ქურდებს ლოგინისა და ერთი ხელი ძველი ტანისამოსის გარდა, ყველაფერი წაუღიათ.[82]

დირბელი მღვდლის გაძარცვის ამბავს ძალიან შეუწუხებია ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ იკოთში მცხოვრები რ. მამამთავრიშვილი: „აგერ ორმოცი

წლისა ვსრულდები და ქართლელებისაგან ამისთანა მოვლინება და უბედურებები არ გამიგონია: არამც თუ სულიერი მამის ხანჯლის წვერით ჩხვლეტა და გაგლეჯა, ქათმის მოპარვაც არ მსმენია. ქართლში ავაზაკობდნენ მარტო ოსები და ისიც დიდი შიშით და სიფრთხილით, უდაბურ ტყის ვიწრო გზებზედ“, ქსნის ხეობაში მოსახლეობას ახლა ძალიან უჭირს, მაგრამ ამისთანა შემარცხვენელ საქმეს არავინ იკადრებსო.[83]

ფრონის ხეობაში ყაჩაღობის გახშირებული ფაქტები მომდევნო წლებშიც გვხვდება. როგორც ჩანს, „ეპიცენტრი“ ოქონის საზოგადოება იყო. „ივერიის“ 1893 წლის 3 ივლისის კორესპონდენციის ცნობით, ყაჩაღები ისევ გამოჩენილან სოფელში. „ორი კვირა არც-კია, რაც ჩვენს ტყეში გაიკეთეს ბინა და ხან ვის შეუთვლიან, ფული გამოგვიგზავნეთო, ხან ვისა“. ერთხელაც თავად ალ. ფალავანდიშვილისთვის მიუწერიათ წერილი: „ჩქარა ფული გამოგვიგზავნეო, თორემ დღე იქნება თუ ღამე, ჩამოვალთ და მოგკლავთო“. ერთ წერილს მეორე მოჰყოლია და ფალავანდიშვილი იძულებული გამხდარა, ეს ამბავი ადგილობრივი მთავრობისთვის ეცნობებინა. საჩქაროდ მოსულა ბოქაული რამდენიმე ჩაფრით (პოლიციელი, იგივე, შიკრიკი), „მიიარ-მოიარა სოფელი და ისევ გაბრუნდა“. ავაზაკებს მოკლე ხანში ორი ურია (ებრაელი) გაუძარცვავთ და დაუჭრიათ, რასაც ყაჩაღების ბრბო უფრო გაუმხნევებია. წერილის ბოლოს ავტორი საჭიროდ თვლის, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.[84]

1893 წლის 7 ოქტომბერს სოფელ ბრეთში მიუგნიათ ავაზაკთა ბუდისათვის, რაზეც გაზეთ „ივერიის“ იმავე წლის 16 ოქტომბრის ნომერი მოგვითხრობს: წერილის შესავალში საუბარია იმ სავალალო მდგომარეობაზე, რაც ავაზაკთა თარეშის თანხვედრი იყო: „შესწუხდა ქვეყანა მრავალ ნაირ ავკაცობით. საქონელი ვერავის შეუნახავს“. ქურდობის მოსასპობად მაზრის უფროსს „ერთი ურიადნიკი“[85] ნათაძე და ორი ჩაფარი გამოუგზავნია. ისინი ბრეთში უნდა დაბინავებულიყვნენ

და საეჭვო კაცთათვის თვალყური ედევნებინათ. „რაღაც ბედზედ, სწორედ იმ დღეს, როდესაც ურიადნიკი ჩაფრებით მოვიდა ს. ბრეთში, ხმა გავრცელდა, საქონელი მოურეკნიათო“. პოლიციის მოხელეები მაშინვე შესდგომიან საქონლის ძებნას. დაუჭერიათ ბრეთის მცხოვრები, მამასახლისის ნათესავი, სახელად სოსო, რომელიც თურმე წვერსა და ბრეთს შუა მიერეკებოდა საქონელს. „ურიადნიკი დაეწია და უთხრა, საქონელი შეაყენეო. სოსომ გინება დაუწყო. ამ დროს ერთმა აქაურმა თავადმა დაუძახა სოსოს, რევოლვერი დაჰკა გულშიო, მაგრამ ურიადნიკმა დაასწრო და მარცხენა ფერდში დასჭრა რევოლვერით. შეიარაღებული თავადი ურიადნიკისკენ გაეჩქარა. ურიადნიკმა შესაშინებლად ორჯერ დაახალა რევოლვერი, მაშინ კი იკადრა თავადმა უკან დახევა და თავს უშველა“.[86] ნათაძეს ორი დღის განმავლობაში ნაქურდალი ცხრა სული საქონელი აღმოუჩენია. ქურდების ხელშემწყობი, თავადთან ერთად, ერთი ებრაელიც ყოფილა, რომელიც წერილში ურიადაა მოხსენიებული. ავტორი იმედოვნებდა, რომ მალე სხვა ავაზაკებსაც მიაგნებდნენ.

ფრონის ხეობის სოფელ კნოლევში ჩაფრებზე მომხდარ თავდასხმაზე მოგვითხრობს „ივერიის“ 1897 წლის 31 მაისის ნომერი. ამ თავდასხმის ორგანიზატორები გავარდნილი ყაჩაღი ილიკო ფუხაშვილი და მისი თანამზრახველები ყოფილან: „ოქონის მამასახლისმა, ბ-ნმა ვანო ფალავანდიშვილმა ორი თავისი ჩაფარი გაჰგზავნა იქვე მახლობელ სოფელს კნოლე(ვ)ში. ეს ორივენი ოსნი არიან, ერთი მიხა და მეორე არსენა. ნახევარი ვერსი გზა რომ გაიარეს, დახვდათ გზაზედ ილიკო ფუხაშვილი თავისი ორი ამხანაგით. ყაჩაღები ისხდნენ და ქეიფობდნენ... ჩაფრებმა გაქცევა ვეღარ მოახერხეს. რაკი ძალიან ახლოს წააწყდნენ თავს, შიშისგან თოფები გადაყარეს, რითიც აცნობეს ყაჩაღებს, ჩვენ არას გიშავებთ და თქვენც ნურას დაგვიშავებთო, მივიდნენ და თავი დაუკრეს“.[87] ყაჩაღებს ორივე დაუწვენიათ და ისე უცემიათ, რომ მათი

მორჩენა სათუო ყოფილა, თოფის კონდახით ჩაუმტვრევიათ თავ-პირი. განსაკუთრებით, მიხა ჩაფარი გაუმეტებიათ; ისეა ნაცემი, ძნელად რომ უექიმოდ მორჩესო. ბოლოს ორივე შეუკრავთ, ჩაფრის ერთ ცხენზე ტომრებივით სიგრძეზე გადაუკიდიათ, ცხენისთვის ჯოხი დაურტყამთ და გზაზე გამოუგდიათ. კაცებაკიდებული ცხენი ერთი საათის განმავლობაში დახეტიალობდა მინდორში. ხალხიც იქვე თოხნიდა, მაგრამ ვიდრე ყაჩაღები არ წასულან, მათი ცხენიდან ჩამოხსნა ვერავის გაუბედია. ავტორის დასკვნით, ყაჩაღებმა „ეს საქმე იმიტომ მოახდინეს, რომ არსენა ჩაფარმა მონაწილეობა მიიღო კოტე ფუხაშვილის დაჭერაში, მიხა ჩაფარს კი იმას აბრალებს ფუხაშვილი, რომ იმან ასისთავი ავალიანი სოფელს ქვათეთრში დაგვასხა თავს და ჩვენი დაჭერა უნდოდაო“.[88]

ილიკო ფუხაშვილი გორის მაზრაში ცნობილი ყაჩაღი იყო. იგი ფიგურირებს „ქსნის ხეობის საქმეშიც“. „ივერიის“ 1897 წლის 29 ნოემბრის პუბლიკაციაში „წერილი ქსნის ხეობიდგან“ აღნიშნულია, რომ იმ დროის გამოჩენილი ავაზაკები ყოფილან არსენა ხუბაშვილი და მისი ამხანაგი ილო ვალიშვილი, რომლებიც ზახორის საზოგადოებაში (ლეხურის ხეობაზეა, ეკუთვნოდა ქსნის ერისთავებს) სამი წელი თარეშობდნენ. წერილის ავტორი (მოხევის ფსევდონიმით) მიგვითითებს ხუბაშვილის ახლო ურთიერთობაზე გორის მაზრის გამოჩენილ ავაზაკ ფუხაშვილთან, „რომელიც თურმე ხშირი სტუმარი ყოფილა ამ ხეობისაც“.[89] ამ შემთხვევაში ფუხაშვილის საქმიანობის არეალად უნდა მივიჩნიოთ ლეხურის ხეობა. თუმცა, გამორიცხული არაა, ასეთ ავაზაკს ქართლის სხვა ხეობებში, მათ შორის, ქსანზეც ეთარეშა. ქურდობა ხომ ქართლის რეგიონში იმ დროისთვის ბევრს პროფესიულ საქმიანობად ჰქონდა ქცეული.

ოსიანობის ერთ-ერთ ფართომასშტაბიან გამოვლენად მიმაჩნია 1918-1920 წლებში ოსი ბოლშევიკების მიერ მოწყობილი სამი დიდი აჯანყება, რომლის მიზანი იყო საქართველოში საბჭოთა

BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ხელისუფლების დამყარება, შიდა ქართლის მთიანი ზონიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნა და ამ ტერიტორიის რუსეთისთვის მიერთება.[90]

საქართველო-ოსეთის ურთიერთობაში გამორჩეულად მნიშვნელოვან საკითხს, კავკასიის მთებიდან ქართლში გადმოსასვლელ გზებს ეხება ოსური სეპარატიზმის პერიოდის პუბლიკაცია, რომელიც გაზეთ „საქართველოში“[91] გამოქვეყნდა ა.ლ.-ს ფსევდონიმით. დასაწყისში აღნიშნულია, რომ ოსები საქართველოში ცხოვრობენ იმ მიწაზე, რომელიც „ძველის ძველი დროიდგან ქართველების საკუთრებას შეადგენდა“. ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზები, მთების სიმაღლის მიუხედავად, რთული გადასალახი არ ყოფილა. მათი დიდი ნაწილი მგზავრს ცხენით უნდა გაევლო.

ამ საგაზეთო პუბლიკაციას მხოლოდ აღწერითი დანიშნულება არ ჰქონია. ავტორს სურდა, ხელისუფლებასა და საზოგადოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცია ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხისათვის: „ამ წერილით მინდა გავაცნო ჩვენს მკითხველებს ეს გადმოსასვლელი გზები და ყურადღება მივაქციო, როგორც საზოგადოებისა, ისე მთავრობისა, რომ ჩრდილოეთიდგან მოსალოდნელ საფრთხის თავიდგან ასაშორებლად, ამ გადმოსასვლელ გზებს ესაჭიროება გამაგრება და დარაჯი. თორემ, ვინ იცის, იქნებ, ყასიდად დარიალის ხეობიდგან მოდიან ჩვენი ქვეყნის მტრები და ნამდვილად კი ამ ქვემო ჩამოთვლილს გზებიდან შემოგვეპარნენ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგები უეჭველია ამ გზების მცოდნენიც არიან და მათ დაცვას ეპირებიან, მაგრამ მე ამითი გავაფ(რ)თხილებ ყველა ქართველს, რომ ამ გზებისკენ მყოფ მეცხვარეებმაც და ვაჭარ მგზავრებმაც თვალი დაიჭირონ და მთავრობას შეატყობინონ ყოველივე უჩვეულო ხალხის მოძრაობა და მიმოსვლა ამ მთის ბილიკი გზებით“.[92]

სამწუხაროა, რომ ოსიანობის თუ ოსობის ფაქტები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ჩვენს ნაშრომშია

მოხმობილი. აღარაფერს ვამბობთ 1980-იანი წლების მიწურულიდან განახლებულ კონფლიქტზე. 1989-1992 წლებში ქართულ-ოსურ დაპირისპირებას ოსიანობის ყველაზე მძიმე ჟამი უწოდა ვახტანგ ითონიშვილმა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ფრონის ხეობაში ნაჩვენები ოსიანობის მძიმე შედეგები მიზნად არ ისახავს ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი მატიანის მუქ ფერებში წარმოჩენას. ჩვენი უმთავრესი ამოცანა ისტორიის მძიმე ქარტეხილების მართებული გაანალიზებაა, რამაც მომავალში თავიდან უნდა აგვარიდოს მსგავსი ტკივილიანი დროება.

ლიტერატურა ▫ References

1. მროველი ლეონტი (1955). ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, გვ. 12.
2. იქვე, გვ. 27.
3. ჯანაშვილი მოსე (1906). საქართველოს ისტორია. ტფილისი, გვ. 195-196.
4. ახლოური დავით (2012). ბაგრატ IV-ის ურთიერთობა ოსებთან: ნარკვევები საქართველოს წარსულიდან. თბილისი, გვ. 10.
5. თოგოშვილი გიორგი (1953). საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან: უძველესი დროიდან XIV საუკუნის დამდეგამდე. თბილისი, გვ. 129.
6. ლორთქიფანიძე მარიამ (1979). თურქ-სელჩუკების განდევნა, საქართველოს სახღვრების გაფართოება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, თბილისი, გვ. 246.
7. ჭიჭინაძე ზაქარია (1913). ოსეთის ისტორია. თბილისი, გვ. 184.
8. ჟამთააღმწერელი (1987). ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 189. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/68819/1/Jamtaagmwereli_Aswlovani_Matiane.pdf>

9. ასათიანი ნოდარ, ოთხმეზური გიორგი, სამსონაძე მიხეილ, ჯამბურია გივი (1012). საქართველოს ისტორია XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე (ტომი III). თბილისი: „პალიტრა L“, გვ. 77; იხ: ლორთქიფანიძე მარიამ (მთ. რედაქტორი), ჯაფარიძე ოთარ, მუსხელიშვილი დავით, მეტრეველი როინ (2012). საქართველოს ისტორია ოთხ ტომად: უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე, თბილისი: „პალიტრა L“.
10. გვასალია ჯონდო (1990). ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, გვ. 12.
11. გვასალია ჯონდო (1982). ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბილისი, გვ. 46.
12. თოფჩიშვილი როლანდ (2007). კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა (სალექციო კურსი). თბილისი: „უნივერსალი“, გვ. 55. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4723/1/Kavkaciic%20_xalxta_Etnografia.pdf>
13. ბატონიშვილი ვახუშტი (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV, თბილისი, გვ. 360. // გამყრელიძე ბ. (1996). ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში. იხ. წიგნში: ოსთა საკითხი. გორი-თბილისი, გვ. 182.
14. ᲗᲘᲓᲕᲐ – შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელი, სადაც 1954 წელს აშელური ხანის ღია სამოსახლოს მიაკვლიეს. 1974-1975 წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აქ აღმოჩენილია შუა და გვიანდელი ბრინჯაოს, ადრინდელი ერკინისა და ანტიკური პერიოდის ნამოსახლარები და სამაროვნები. აქ მდებარეობს შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი თიდვის ტაძარი, ადრეული შუა საუკუნეების წმინდა მარიამის ეკლესია და სხვადასხვა ისტორიული ძეგლის ნაშთები. წყაროებში პირველად იხსენიება X საუკუნიდან ბაგრატ III-სთან დაკავშირებით. საბჭოთა პერიოდში მიეკუთვნებოდა ზნაურის მუნიციპალიტეტს. ამჟამად ოკუპირებულია.
15. თაყაიშვილი ექვთიმე (1907). არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (წიგნი პირველი). ტფილისი: ელექტრონის სტამბა სიგნების გამომცემელ ქართველთ ამხანაგობისა, გვ. 150-151. Retrieved from

<https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/65051/1/ArqeologiuriMogzauroba niDaShenishvnani.pdf>
16. ახალსოფელი – ამ სახელწოდებით რამდენიმე სოფელი გვხვდება საქართველოში. წყაროში მოხსენიებული ახალსოფელი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის ოსიაურის თემში, შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს; ზღვის დონიდან 680 მეტრ სიმაღლეზე, ქ. ხაშურიდან 6.5 კმ მანძილზე. ახალსოფლიდან სამხრეთით, 1 კმ-ზე დგას რიყის ქვით ნაგები, გვიანდელი ფეოდალური ხანის მაცხოვრის ეკლესია.
17. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (თაყაიშვილი, 1907), გვ. 204.
18. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973), გვ. 355.
19. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2, ამონაწერი 1, საქმე 302, ფურცელი 5. // ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში (გამყრელიძე, 1996), გვ. 185.
20. ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში (გამყრელიძე, 1996), გვ. 184-185.
21. გვასალია ჯონდო (1996). შიდა ქართლი და ოსური პრობლემა. იხ. წიგნში: ოსთა საკითხი. გორი-თბილისი, გვ. 98.
22. ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში (გამყრელიძე, 1996), გვ. 185.
23. იქვე.
24. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა (თოფჩიშვილი, 2007) გვ. 57.
25. შიდა ქართლი და ოსური პრობლემა (გვასალია, 1996), გვ. 98.
26. იქვე, გვ. 89.
27. ორბელიანი პაპუნა (1981). ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 110.
28. ღუნაშვილი ვლადიმერ (ვალო) (2007). ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია: VI საუკუნის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით (მეორე გამოცემა). თბილისი, გვ. 276. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284043/1/QsnisSaeristavosPolitikuriIstoria.pdf>
29. ამბავნი ქართლისანი (ორბელიანი, 1981), გვ. 110.
30. ითონიშვილი ვახტანგ (1996). ოსიანობა. იხ. წიგნში: ოსთა საკითხი. გორი-თბილისი, გვ. 229. // ითონიშვილი ვახტანგ (2002).

ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან. თბილისი: „არტანუჯი“, გვ. 207.
31. თოთაძე ანზორ (1996). ოსები ქართულ მიწა-წყალზე. იხ. წიგნში: ოსთა საკითხი. გორი-თბილისი, გვ. 213.
32. კეკელია მიხეილ (1991). ერეკლე II-ის განჩინებანი სამაჩაბლოში ბოროტმოქმედების აღსაკვეთად. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №25, გვ. 1.
33. აიხვალდი ედუარდ (2005). ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ: XIX საუკუნის პირველი მესამედი. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბილისი: „არტანუჯი“, გვ. 116. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/547296/1/EduardAixvaldiSaqartvelosShesaxeb_2005.pdf>
34. იქვე.
35. დედანი დაზიანებული ყოფილა, თავი მოხეული და დაკარგული. ამიტომ, ტექსტი სრულყოფილად არ იკითხება.
36. ბერძენიშვილი ნიკო (რედ.) (1940). დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ტომი I – ბატონყმური ურთიერთობა: XV-XVIII საუკუნეებში). თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, გვ. 363-364.
37. ითონიშვილი ვახტანგ (2002). ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან. თბილისი: „არტანუჯი“, გვ. 230.
38. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973), გვ. 221.
39. ბრიგოლ ალექანდრეს ძე პოტიომკინ-ტავრიდელი (1739-1791) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი. 1784 წელს მიიღო გენერალ-ფელდმარშლის წოდება. როგორც ნოვოროსიის, ასტრახანისა და აზოვის გენერალ-გუბერნატორი, სარგებლობა შეუზღუდავი ძალაუფლებით რუსეთის იმპერიის სამხრეთ გუბერნიებში. მისი აქტიური ხელშეწყობით, 1783 წელს ხელი მოეწერა რუსეთსა და გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულ „სამეგობრო შეთანხმებას“ – გეორგიევსკის ტრაქტატს.
40. ქართული სამართლის ძეგლები (ტომი VIII – სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბილისი: „მეცნიერება“, 1981, გვ. 21.
41. ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან (ითონიშვილი, 2002), გვ. 232.
42. სოსიაშვილი გიორგი (2021). სამაჩაბლოს ისტორია: შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული

რეპრეზენტაცია (დიდი ლიახვის ხეობა). თბილისი, გვ. 211. Retrieved from <https://rustaveli.org.ge/res/docs/e91d7710fe8f7622eda24504ea002cb8c352134f.pdf>
43. აწრისხევი – ქართლის მთიანეთის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი წარსულში. ისტორიულად, ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდა. XIV საუკუნეში მეფე ვახტანგ III-მ ერთგულებისთვის უბოძა ქსნის ერისთავს, შალვა ქვენიფნეველს. მოგვიანებით, აქ შანშე ერისთავმა ციხე ააგო და XVIII საუკუნეში ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ დასაყრდენად აქცია. ერთნიკური ქართველებით დასახლებული ეს სოფელი, მოგვიანებით ცხინვალის რაიონს დაუქვენდებარეს. 2008 წლიდან ოკუპირებულია.
44. მართალაძე ს. (5 დეკემბერი, 1998). აწერისხევი. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №696, გვ. 203.
45. სამაჩაბლოს ისტორია (სოსიაშვილი, 2021). // სოსიაშვილი გიორგი (2007). ოსიანობა და სამაჩაბლო. იხ. წიგნში: ძიებანი. თბილისი.
46. ახლოური დავით (2022). ქსნის ხეობის სოფელ გოლგოლეთის ისტორიიდან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი „წყაროთმცოდნეობა“, XXIV, გვ. 13-19. // ახლოური დავით (2024). ნასოფლარები ქსნის ხეობაში. იხ. წიგნში: ქსნის ხეობის ისტორია, შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია. თბილისი, გვ. 30-53.
47. თაბუაშვილი აპოლონ (2013). ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები: XVIII საუკუნის II ნახევარი. თბილისი: „მერიდიანი“, გვ. 2.
48. ბაგრატიონი იოანე (1986). ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 42-44. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/127086/1/Qartl-Kaxetis_Agwera.pdf>
49. ზემო ბომი – ზოგადად, ეს სოფელი ეთნიკურად მრავალფეროვანი იყო. ქართველებთან ერთად, აქ მკვიდრობდნენ რუსები, ოსები, სომხები და გერმანელები.
50. ნაბაკევი და თიღვა – ამ ორივე სოფელში ქართველები დომინირებდნენ.

51. Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г., стр. 50-54.
52. Legatus (13 ნოემბერი, 1913). ხიზნების დასახლება საფალავანდო მამულში. „სახალხო გაზეთი“, №1042, გვ. 3.
53. აბისი – შიდა ქართლის მხარის, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი. მდებარეობს დოღლაურის ვაკეზე, მდ. ლოპანისწყლის მარჯვენა მხარეს, ლოპანისწყლისა და დასავლეთ ფრონის შესართავთან, ზღვის დონიდან 670 მ სიმაღლეზე, ქარელიდან 15 კმ მანძილზე.
54. ხარაბა – არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვა. ასოცირდება გაჩანაგებულ, ტიალ, მიტოვებულთან (ახლოური დავით (2021). ქსნის ხეობის სოფლების ისტორია: XVIII საუკუნის მეორე ნახევარი, XIX საუკუნის დასაწყისი (ტომი II). თბილისი). „გვიანდელი გეოდალური პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს საისტორიო მასალებში იხსენიება ხარაბა სოფელი, მამული, ციხე, დუქანი, აბანო, წისქვილი, ბაღი და სხვ. ხარაბა ჩართული იყო სამოქალაქო ბრუნვაში, კერძოდ, იყიდებოდა, საზღაურად (მაგ., საუპატიოდ) მიეცემოდა, შეიწირებოდა და ქონების გაყოფისას წილშიც შედიოდა... ხარაბა ადგილების „გაკეთება“ ერეკლე II-ის პროგრამის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს შეადგენდა“ (ფუტკარაძე იაკობ (1987). ხარაბა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტომი 11, თბილისი, გვ. 434).
55. ზაქარაია პარმენ (1958). საამილახროსა და ზემო ქართლის სადროშოს XVI-XVIII საუკუნეების ციხე-სიმაგრეები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტომი XX, №1, თბილისი, გვ. 123.
56. მაკალათია სერგი (1963). ფრონის ხეობა. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, გვ. 46-47. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/59653/1/Fronis_Xeoba.pd>
57. იქვე, გვ. 47.
58. ატიცი – ქარელის მუნიციპალიტეტის, ბრეძის თემის სოფელი. მდებარეობს დასავლეთ ფრონის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე, ქარელიდან 27 კმ მანძილზე.
59. ფორნის ხეობა (მაკალათია, 1963), გვ. 47.
60. ბერძენიშვილი ნიკო (1941). XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (ნაკვეთი I). თბილისი, გვ. 178. // ახლოური დავით (2006). ახალგორის ისტორია, თბილისი, გვ. 106-107.

61. მგალობლიშვილი სოფრომ (1938). მოგონებანი. ლევან ასათიანის რედაქციით, თბილისი, გვ. 22-23.
62. ძიძიგური შოთა (1974). ქართული დიალექტოლოგიის მასალები. თბილისი: „განათლება“, გვ. 155.
63. ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან (ითონიშვილი, 2002), გვ. 240.
64. იქვე, გვ. 242.
65. ᲫᲝᲠᲜᲘᲡᲘ – დაბა თიღვის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს აღმოსავლეთ ფრონის ხეობაში. შედიოდა ქართლის სასასპეტოში. XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს ტყისუბნის სახელწოდებით. 1933-1991 წლებში ეწოდებოდა ზნაური, ოსი რევოლუციონერის, ზნაურ აიდაროვის სახელის მიხედვით. 1990-იანი წლების დასაწყისიდან ოკუპირებულია.
66. ᲣᲖᲑᲐᲨᲘ (თურქ. yüzbaşı „ასი + მეთაური“) – ასეულის მეთაური, ასისთავი (სამხედრო მოხელე გვიანფეოდალურ საქართველოში). მეფე ვახტანგ VI-ის დასტურლამალის (სახელმწიფო სამართლის ძეგლი, 1707-1709) თანახმად, უზბაში ემორჩილებოდა ყულარაღასს, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან – მინბაშს.
67. ქართული სამართლის ძეგლები (ტომი VIII – სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბილისი: „მეცნიერება“, 1985, გვ. 21.
68. იქვე.
69. ქართული სამართლის ძეგლები (ტომი V – სასამართლო განჩინებანი: XVIII საუკუნე). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბილისი: „მეცნიერება“, 1985, გვ. 21.
70. ქართული სამართლის ძეგლები (ტომი VIII, დოლიძე, 1985), გვ. 306.
71. იქვე.
72. ᲛᲘᲜᲑᲐᲨᲘ (აზერბ. min „ათასი“ + თურქ. baş „მეთაური“) – ათასეულის მეთაური, ათასისთავი (მაღალი სამხედრო წოდების მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში); ციხისთავი, მეციხოვნე.
73. ქართული სამართლის ძეგლები (ტომი VIII, დოლიძე, 1985), გვ. 337.
74. იქვე, გვ. 614-615.
75. ᲛᲣᲮᲘᲡᲘ – ისტორიულად ძლიერი სოფელი. მანგლისის ხევის ლეგიანობა-ყიზილბაშობის შედეგად, გაპარტახდა და მოსახლეობა შიგა ქართლიდან გადასახლდა. მოგვიანებით, აქ მთიულებიც დამკვიდრდნენ.

76. ქართული სამართლის ძეგლები (ტომი VIII, დოლიძე, 1985), გვ. 317.
77. მიწის საკითხი ზემო ქართლში (28 მაისი, 1913), „სახალხო გაზეთი“, №904, გვ. 2.
78. ახლოური დავით (2025). გაზეთი „ივერია“ და ფრონის ხეობა. ფილოლოგიური კვლევები, №11, გვ. 128-129.
79. Legatus (13 ნოემბერი, 1913). ხიზნების დასახლება საფალავანდო მამულში. „სახალხო გაზეთი“, №1042, გვ. 3.
80. სოფელი საღოლაშენი (გორის მაზრა) (19 სექტემბერი, 1891). „ივერია“, №199, გვ. 1.
81. იქვე.
82. ზაქარიძე ს. (14 მარტი, 1875). ქ. გორი, 8 თებერვალს. „დროება“, №20, გვ. 2.
83. მამამთავრიშვილი რ. (14 მარტი, 1875). იკოთი, 23 თებერვალს. „დროება“, №31, გვ. 2-3.
84. სოფელი ოქონა (გორის მაზრა) (3 ივლისი, 1893). „ივერია“, №199, გვ. 2.
85. ᲨᲠᲘᲐᲓᲜᲘᲙᲘ – (ძვ.) სამაზრო პოლიციის მოხელე, რომელსაც ებარა უბანი ან სოფელი.
86. სოფელი წვერი (ქართლი) (16 ოქტომბერი, 1893). „ივერია“, №222, გვ. 2.
87. სოფელი ოქონი (გორის მაზრა) (31 მაისი, 1897). „ივერია“, №105, გვ. 2.
88. იქვე.
89. მოხევე (29 ნოემბერი, 1897). წერილი ქსნის ხეობიდგან. „ივერია“, №247, გვ. 3.
90. მენთეშაშვილი ავთანდილ (1996). ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში. იხ. წიგნში: ოსთა საკითხი. გორი-თბილისი, გვ. 276.
91. „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა 1915-1921 წლებში. 1915-1916 წლებში გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო პოეტი სანდრო შანშიაშვილი. 1917 წლიდან რედაქტორი გახდა ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ვეშაპელი. 1919-1920 წლებში ეროვნულ-დემოკრატების გაზეთს „ახალი საქართველო“ ეწოდა, ხოლო 1920-1921 წლებში – „ივერია“.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)